18.11.2013

№ 393

საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE

№ 5311

„14" 11 2013

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)

დირექტორს სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2013 წლის 20 სექტემბრის #560 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან ერთად, დაიწყო „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი".

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი" რეგულირდებოდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის #112 განკარგულებით. სასოფლო-სამეურნეო ბარათებთან დაკავშირებული ყველა საკითხი კი რეგულირდებოდა „მცირემიციან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში" გათვალისწინებული წესების მიხედვით.

გამომდინარე იქიდან, რომ მიწის მფლობელთა და მოსარგებლეთა 80% -ს მიწები რეგისტრირებული არ ჰქონდა, საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში, კარდაკარის პრინციპით, მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა მიწათმესაკუთრეთა აღწერა, რომელიც სოფლის რწმუნებულებმა ჩაატარეს. შეიქმნა საინფორმაციო ბაზა და მოხდა ადგილებზე მონაცემთა გადამოწმება.

ბარათების გაცემის პროცესის ძირითად ხელშემშლელ ფაქტორს სწორედ სოფლის რწმუნებულების მიერ გადმოგზავნილი არასწორად და ხარვეზებით შევსებული მიწის მესაკუთრეთა სიები წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ინფორმაციების დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ოფიციალურად გადააგზავნა მიწის მესაკუთრეების პირადი მონაცემების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის ელექტრონული ვერსიები, რათა ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან ა/წ იანვარ-თებერვალში კიდევ ერთხელ დაკორექტირებულიყო და დაზუსტებულიყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა პირადი მონაცემები (ბენეფიციართა პირადი ნომრები, სახელი, გვარი, კუთვნილი ნაკვეთის ადგილმდებარეობა). მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობას ასევე მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინათ დამატებითი სიები , ანუ იმ მოქალა ქეთა მო ნაცემები, რომლებიც არ ფიქსირდებოდნენ

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

პირველად სიებში. აღნიშნული სიების მოწოდება წარმოადგენდა რაიონული გამგეობის ვალდებულებას.

მუნიციპალიტეტებიდან საბოლოოდ მიღებული (დამატებითი სიების მიღება დასრულდა 30 მარტს) და დაუზუსტებლი მონაცემები სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადასამოწმებლად გადაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა ოფიციალურად დაედასტურებინათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა პირადი მონაცემების სიზუსტე (აღნიშნული პროცესი აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში დასრულდა).

მიწის მესაკუთრეთა შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მოპოვება მიწის მესაკუთრეთა ბაზის პრაქტიკულად არარსებობის გამო ურთულესი პროცესი იყო. შესაბამისად, საჭირო გახდა სიების რამდენჯერმე გადამოწმება, ჩასწორება და დამატებითი სიების მომზადება, რის გამოც პროცესი დროში გაიწელა. შესაბამისად, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ბარათები დაგვიანებით მიიღო, მცირე ნაწილმა კი, სასოფლო-სამეურნეო ბარათი საერთოდ ვერ მიიღო.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეძლო მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამის ბენეფიციართა შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მოპოვება და მთლიანობაში, ამ პროექტით მთელი საქართველოს მასშტაბით, 710 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში უკვე არსებული მიწისმესაკუთრეთა საინფორმაციო ბაზა საშუალებას იძლევა მომავალში დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამები მეტი სიზუსტით განხორციელდეს.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი